ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

7-05-4-201801311541

ქ. ბათუმი

31/01/2018

# ბრძანება N 05/7

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**აპარატის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაცია.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 103-104-ე მუხლებისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესი"-ს მე-5, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დაწყებულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაცია.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს 3 ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა;

ბ) მეორე ეტაპი - რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება;

გ) მესამე ეტაპი - რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელ მოხელეთა მობილობა.

3. დაიწყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საკადრო საკითხებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - შორენა ფუტკარაძე.

4. დაევალოს საკადრო საკითხებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების უფროს სპეციალისტს - შორენა ფუტკარაძეს უზრუნველყოს რეორგანიზაციის დაწყების შესახებ ბრძანების ყველა საჯარო

ასლის
დამოწმება
№1

მოსამსახურისათვის გაცნობა (გაცნობის ხელმოწერით დადასტურება) და სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროსათვის“ დაუყოვნებლივ მიწოდება.

5. რეორგანიზაციის დაგეგმვაზე პასუხისმგებელმა პირმა არაუგვიანეს 2018 წლის 5 თებერვლისა უზრუნველყოს:

ა) რეორგანიზაციისათვის განსახორციელებელი გეგმის შემუშავება და წარმოდგენა;

ბ) რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყებისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავება, რომლის მიხედვითაც ასევე განისაზღვრება რეორგანიზაციის შემდგომი ეტაპების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, საკრებულოს აპარატის უფროსის, საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსის და საკადრო საკითხებში საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტის მონაწილეობით) და სხვა გასატარებელი ღონისძიებები.

6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე (www.batumicc.ge) გამოქვეყნება.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ასლის
დამოწმება
№1